

საქართველოს მთავრობა

სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი



შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2012 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2012 წლის სამოქმედო გეგმის
შესრულების ანგარიში

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

მისამართი: თბილისი, 0134, ინგოროყვას ქუჩა №7, მთავრობის კანცელარია, მე-5 სართული

პასუხისმგებელი პირი : ზვიად ზვიადაძე

ტელეფონი: +995 32 2923299, +995 32 2922632

ვებგვერდი: www.smr.gov.ge

ელფოსტა: zviadzviadadze@yahoo.co.uk

შინაარსი

შესავალი.....	4
I. კანონის უზენაესობა.....	6
II. განათლება და სახელმწიფო ენა.....	11
III. მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.....	17
IV. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა.....	20
V. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია.....	33
VI. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.....	42

დანართი №1. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით

შესავალი

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №348 განკარგულებით დამტკიცდა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმა“. ამ აქტით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაევალა ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში პოლიტიკის შემუშავება და კოორდინირება, აგრეთვე, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენა. ამ პროცესების კოორდინირებულად განსახორციელებლად საქართველოს ვიცე-პრემიერის, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2009 წლის 3 ივლისის №14 ბრძანების და 2011 წლის 24 იანვრის №7 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა **სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია**. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებელი თანამშრომლები, ისე შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების, ქ. თბილისის საკრებულოსა და ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სამი სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები:

- რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი
- ს.ს.ი.პ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
- გამოცდების ეროვნული ცენტრი
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
- ქ. თბილისის საკრებულო
- ქვემო ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია
- სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია
- კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

წინამდებარე ანგარიში ასახავს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ 2012 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ექვსი სტრატეგიული მიმართულების - კანონის უზენაესობის, განათლებისა და სახელმწიფო ენის, მედიისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, პოლიტიკური ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის, სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის, კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიხედვით განხორციელებულ აქტივობებს.

I. კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. ამ კუთხით საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურები და ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურადაა ჩართული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. ამ მხრივ, დასახული ამოცანების შესასრულებლად, 2012 წელს საქართველოს სამინისტროებმა და მათ დაქვემდებარებაში მყოფმა ორგანიზაციებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელეს პრაქტიული ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით:

იუსტიციის სახლები

2012 წელს იუსტიციის სახლები გაიხსნა თბილისში, ყვარელში, თელავში, გურჯაანში, ოზურგეთში, გორში, მარნეულსა და ახალციხეში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილი ბრენდის- „იუსტიციის სახლის“ საშუალებით ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას მიეცა საშუალება ისარგებლოს უნიკალური სერვისით და მიიღოს მომსახურება სწრაფად და ეფექტურად. აღნიშნული ბრენდის შექმნით ერთ შენობაში გაერთიანდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც მოქალაქეთა მომსახურებას ახორციელებს, მათ შორის: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ეროვნული არქივი, აღსრულების ეროვნული ბიურო, ნოტარიუსთა პალატა, მონაცემთა გაცვლის სააგენტო; იუსტიციის სახლი ასევე ახორციელებს განათლების სამინისტროს ერთ-ერთი სერვისის - ატესტატების გაცემას.

“იუსტიციის სახლი“ ორიენტირებულია მოქალაქეთა ეფექტურ და მაღალხარისხიან მომსახურებაზე. იუსტიციის სახლში ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, მიიღოს დაბადების, პირადობის, ქორწინების მოწმობა; დაამოწმოს დოკუმენტი აპოსტილით ან ლეგალიზაციის გზით; შეიტანოს განაცხადი მოქალაქეობის, ბინადრობის, ორდინალური ვიზის მიღების თაობაზე და მიიღოს 300-მდე სახის მომსახურება ერთ შენობაში.

ახალციხის იუსტიციის სახლი გაიხსნა 2012 წლის 8 აგვისტოს. ის დღეში საშუალოდ 364 მოქალაქეს ემსახურება. გახსნის დღიდან 2012 წლის ბოლომდე ახალციხის იუსტიციის სახლი მოემსახურა 37163 მოქალაქეს.

მარნეულის იუსტიციის სახლი გაიხსნა 2012 წლის 10 სექტემბერს. ის დღის განმავლობაში საშუალოდ 801 მოქალაქეს ემსახურება. მარნეულის იუსტიციის სახლი გახსნის მომენტიდან 2012 წლის ბოლომდე მოემსახურა 63281 მოქალაქეს.

თბილისის იუსტიციის სახლი გაიხსნა 2012 წლის 21 სექტემბერს. გახსნის მომენტიდან 2012 წლის ბოლომდე მოემსახურა 510696 მოქალაქეს. დღის განმავლობაში თბილისის იუსტიციის სახლი საშუალოდ 5491 მოქალაქეს ემსახურება.

ოზურგეთის იუსტიციის სახლი გაიხსნა 2012 წლის 13 აპრილს. გახსნის მომენტიდან 2012 წლის ბოლომდე მოემსახურა 93169 მოქალაქეს. დღის განმავლობაში ოზურგეთის იუსტიციის სახლი საშუალოდ 509 მოქალაქეს ემსახურება.

გურჯაანის იუსტიციის სახლი გაიხსნა 2012 წლის 12 ივნისს. გახსნის მომენტიდან 2012 წლის ბოლომდე მოემსახურა 54359 მოქალაქეს. დღის განმავლობაში გურჯაანის იუსტიციის სახლი საშუალოდ 383 მოქალაქეს ემსახურება.

თელავის იუსტიციის სახლი გაიხსნა 2012 წლის 15 სექტემბერს. გახსნის მომენტიდან 2012 წლის ბოლომდე მოემსახურა 37413 მოქალაქეს. დღის განმავლობაში თელავის იუსტიციის სახლი საშუალოდ 486 მოქალაქეს ემსახურება.

ყვარლის იუსტიციის სახლი გაიხსნა 2012 წლის 17 სექტემბერს. გახსნის მომენტიდან დღემდე მოემსახურა 13618 მოქალაქეს. დღის განმავლობაში გურჯაანის იუსტიციის სახლი საშუალოდ 179 მოქალაქეს ემსახურება.

გორის იუსტიციის სახლი გაიხსნა 2012 წლის 26 სექტემბერს. გახსნის მომენტიდან 2012 წლის ბოლომდე მოემსახურა 50790 მოქალაქეს. დღის განმავლობაში გურჯაანის იუსტიციის სახლი საშუალოდ 758 მოქალაქეს ემსახურება.

შეხვედრა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ყოველწლიურად აქვთ შესაძლებლობა, შეხვდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს და მაღალი თანამდებობის პირებისგან უშუალოდ მიიღონ პასუხი სამინისტროს კომპეტენციის სფეროში შემავალ და მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამ ტიპის შეხვედრა გაიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრებს შორის.

2012 წლის 12 აპრილს ეროვნული უმცირესობების საბჭოსთან შეხვედრა გაიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილისა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის მონაწილეობით. შეხვედრას ესწრებოდა 30-მდე ადამიანი, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრები, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მარკეტინგის სამმართველოს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის, საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებისგან. აღნიშნული პირების მიერ მომზადებულ მოხსენებებთან ერთად შეხვედრაზე გამოყოფილი იყო დრო დისკუსიისა და კითხვა-პასუხისთვის.

შეხვედრაზე განხილული იყო სხვადასხვა თემები, მათ შორის, იუსტიციის სახლების მიერ მიწოდებული სერვისების, ელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არქივებში დაცულ ინფორმაციაზე წვდომის, მოქალაქეობის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შემავალ უწყებებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმების, უფასო იურიდიული დახმარებისა და საბჭოს წევრებისთვის საინტერესო სხვა საკითხები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა მოინიშნეს ყველა საკითხი, რომელზეც საბჭოს წევრებს დამატებითი ინფორმაცია სჭირდებოდათ. აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაცია მოგვიანებით წერილობითი ფორმით გადაეგზავნა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ეროვნული უმცირესობების საბჭოს.

ბოშების რეგისტრაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო არასამთავრობო ორგანიზაციებთან-ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან (IRC) და უმცირესობის

საკითხთა ევროპულ ცენტრთან (ECMI) თანამშრომლობით განაგრძობს ბოშათა რეგისტრაციის საკითხებზე მუშაობას. საქართველოში მცხოვრები ბოშა მოსახლეობის რეგისტრაციის პრობლემის მოგვარებისა და ამ საკითხებში კომპეტენტური დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით 2012 წლის მანძილზე განხორციელდა რამდენიმე შეხვედრა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრისა და ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მონაწილეობით. კოორდინირებული მუშაობის დაგეგმვის მიზნით გადაწყდა, რომ საქართველოში მცხოვრები ბოშების შესახებ მონაცემებს ECMI გადასცემდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს; სააგენტო, თავის მხრივ, ECMI-ის მიერ წარდგენილ მონაცემებს შეადარებდა მონაცემთა ბაზას; ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომელიც არ აღმოჩნდებოდა სააგენტოს მონაცემთა ბაზაში, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით, გადაეცემოდა ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრს, რომელიც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად განახორციელებდა გასვლით ვიზიტებს რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვების მიზნით. საბოლოო ჯამში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე წარმართავდა დაბადების იურიდიული ფაქტის დადგენის, მოქალაქეობის საკითხების მოგვარების ან პირადობის მოწმობის გაცემისთვის საჭირო პროცედურებს.

მონაცემების სარეგისტრაციო ბაზებში გადამოწმების მიზნით უმცირესობების საკითხთა ევროპულმა ცენტრმა (ECMI) ლენინოვკასა და გაჩიანის დასახლებაში მცხოვრები ბოშების 265-კაციანი სია გადასცა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ დოკუმენტირებასთან დაკავშირებული პრობლემა 81 ბოშას ჰქონდა. 2012 წლის განმავლობაში ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად განახორციელა რამდენიმე გასვლითი ვიზიტი რუსთავსა და გაჩიანში. აღნიშნული ვიზიტების ფარგლებში 18 ბოშას მოუგვარდა რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობების არქონის პრობლემა. 13 ბოშას მიმართ დადგენილ იქნა დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, ხოლო 2 ბოშას მიენიჭა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი. ვიზიტების თარიღისა და ადგილის წინასწარ შეტყობინების მიუხედავად, ყველა ადამიანთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. შესაბამისად, ვერ მოხერხდა მათი პრობლემების გადაჭრა. ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება.

ეროვნული უმცირესობების დასაქმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რათა ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიციის რიგებში დასაქმებისათვის. სამინისტრო პრიორიტეტს ანიჭებს უმცირესობათა დასაქმებას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს 2012 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში დასაქმებულთა სტატისტიკა, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება.¹

¹ შს სამინისტროში დასაქმებულ პირთა ეთნიკური ნიშნით აღწერა ნებაყოფლობითია და ხდება თანამშრომელთა სურვილის საფუძველზე.

აზერბაიჯანელი	11
ასურელი	2
ბერძენი	2
ქურთი	1
ოსი	4
პოლონელი	1
რუსი	10
სომეხი	35
უკრაინელი	3
სულ	69

ბროშურა „დისკრიმინაციის დაუშვებლობის“ შესახებ

2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან ერთად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ ევროკავშირის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სწავლების განვითარების“ პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა ბროშურა „დისკრიმინაციის დაუშვებლობის“ შესახებ.

ტრენინგი „ადამიანის უფლებების დაცვა - დისკრიმინაციის დაუშვებლობა“ რეგიონებში

2012 წლის განმავლობაში ტრენინგები თემაზე „ადამიანის უფლებების დაცვა - დისკრიმინაციის დაუშვებლობა“ ჩატარდა შემდეგ რეგიონებში: კახეთი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი. აღნიშნული ტრენინგების სერია ჩატარდა ევროკავშირის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სწავლების განვითარების“ პროექტის ფარგლებში და მას უძღვებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის და იუსტიციის სამინისტროს ექსპერტები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრებთან

2012 წლის 7 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრებთან. სამინისტროს მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ წარმომადგენლები შემდეგი დანაყოფებიდან: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, იურიდიული სამმართველო, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე, უმცირესობების

ცენტრის ხელმძღვანელი და საბჭოს 15-მდე წარმომადგენელი. აღნიშნული ღონისძიება განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს შორის 2010 წლის 4 თებერვალს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. შეხვედრაზე განხილული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდინარე საქმიანობა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონტექსტში. კონკრეტულად, ყურადღება გამახვილდა პოლიციის როლზე რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის და პრევენციის საქმეში, დარღვევის ფაქტებზე რეაგირების გაუმჯობესების საშუალებებსა და უმცირესობების დასაქმების საკითხზე პოლიციაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის უზნის ინსპექტორთა და საპატრულო პოლიციის საბაზისო კურსის მსმენელებისთვის მიმოხილვითი ლექციები ეროვნული უმცირესობების თემაზე

2012 წლის 13 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახალხო დამცველს შორის 2010 წლის 4 თებერვალს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში შედგა შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველთან, რომელმაც შსს-ს აკადემიის უზნის ინსპექტორთა და საპატრულო პოლიციის საბაზისო კურსის მსმენელებისთვის მიმოხილვითი ლექციები წაიკითხა ეროვნული უმცირესობების თემაზე. ამასთანავე, საქართველოს სახალხო დამცველი შეხვდა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ მოქმედ და მომავალ პოლიციელებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიზარდა სწავლის ხანგრძლივობა, რაც აისახა ისეთ დისციპლინებზე, როგორც არის სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები. კერძოდ: ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის და რასობრივი დისკრიმინაციის, ასევე დისკრიმინაციის დაუმშავლობის საკითხების სწავლებას დიდი ყურადღება ეთმობა როგორც უზნის ინსპექტორთა, ისე საპატრულო პოლიციელთა მომზადების და გადამზადების კურსებზე.

საქართველოს კონსტიტუცია აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია კოდიფიცირებული ტექსტით ითარგმნა და გამოიცა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. გამოცემა დაურიგდა სამი რეგიონის - სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. სულ გამოიცა 500 ეგზემპლარი.

შეხვედრა მარნეულის, წალკის და თეთრიწყაროს მოსახლეობასთან.

2012 წლის 25 მაისს მარნეულის გამგეობაში "მარნეულის ახალგაზრდული ცენტრისა" და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის ორგანიზებით გაიმართა მოსახლეობასთან შეხვედრა. შეხვედრაზე მარნეულის, წალკისა და თეთრიწყაროს რაიონების ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების, საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკაში გატარებული ცვლილებების შესახებ.

II. განათლება და სახელმწიფო ენა

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის ფარგლებში ატარებს ერთიან პოლიტიკას ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით. პოლიტიკის მიზანია ისეთი კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფს განათლებაზე ხელმისაწვდომობას ეროვნული უმცირესობებისთვის, ხელს უწყობს სახელმწიფო ენის პოპულარიზაციასა და ეროვნული უმცირესობების ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების პროგრამებს, კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების ეფექტურ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

ქართული ენის სახლები სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში

2009-2011 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო "ქართული ენის პროგრამის" ფარგლებში უზრუნველყოფდა ნინოწმინდისა და ახალქალაქის ენის სახლებისა და დმანისისა და ბოლნისის ქართული ენის ცენტრების დაფინანსებას 22 500 ლარის ოდენობით (თითოეული ცენტრისათვის). აღნიშნული თანხა ხმარდებოდა ქართული ენის სახლებისა და ქართული ენის ცენტრების პერსონალის შრომის ანაზღაურებას, თვალსაჩინოებების, წიგნების, სასწავლო და საკანცელარიო მასალების შეძენას, მიმდინარე კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების დაფარვას.

2011 წლის 1 ოქტომბრიდან ქართული ენის სახლებსა და ქართული ენის ცენტრებს ადმინისტრირებას უწევს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

2011 წელს პროგრამის "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" ფარგლებში დამატებით ორი ქართული ენის სახლი შეიქმნა ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ, გარდაბანსა და მარნეულში, ხოლო 2012 წელს ახალი ქართული ენის სახლები შეიქმნა წალკასა და იორმულანლოში.

ენის სახლი გათვლილია მსმენელთა რამდენიმე კატეგორიაზე: სკოლის დირექტორები და მასწავლებლები, საჯარო მოხელეები, აბიტურიენტები და სხვა დაინტერესებული პირები. ენის სახლი მსმენელს სთავაზობს ქართული ენის ინტენსიურ კურსს.

მსმენელების დიფერენცირება ხდება, ერთი მხრივ, ენის ფლობის დონის მიხედვით, რაც დგინდება წინასწარი ტესტის საფუძველზე, მეორე მხრივ, მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ოსური საკვირაო სკოლა

2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ "უმცირესობათა ენის დაცვის ქვეპროგრამის" ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა მე-11 საჯარო სკოლის ბაზაზე

არსებული ოსური საკვირაო სკოლის დაფინანსება. 2012 წელს ოსურ საკვირაო სკოლაში 20 მსმენელს ჰქონდა შესაძლებლობა, შეესწავლა ოსური ენა, კულტურა, ისტორია, ფოლკლორი, კავკასიური ცეკვები და სიმღერები.

მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა

2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ბილინგვური მასწავლებლის სტანდარტი. პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც სამინისტროს მულტილინგვური განათლების ექსპერტები, ისე უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო ექსპერტები მარინა გურბო და ლიგია გრიგულე.

2012 წელს ითარგმნა და გამოიცა მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში და უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის მხარდაჭერით შექმნილი მეთოდოლოგიური რესურსი მასწავლებლებისათვის მულტილინგვურ სწავლებაში (მასწავლებლების გზამკვლევი მულტილინგვურ სწავლებაში).

2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამომცემლობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გამომცემლობების მიერ ითარგმნა პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით ყველა საგნის თითო გრიფირებული სახელმძღვანელო სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნულ სახელმძღვანელოებში მასალის 30% ქართულ ენაზეა, ხოლო 70% - სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ თარგმნის ხარისხის შეფასებაში ჩართული იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭო. მულტილინგვური სახელმძღვანელოები საპილოტე სკოლებში გამოყენებული იქნა, როგორც რეკომენდებული სასწავლო მასალა.

პროგრამა "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა"

პროგრამა "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების მივლინებას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეროვნული უმცირესობებით დასახლებული სოფლების იმ არაქართულენოვან სკოლებში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ დგას ქართული ენის ცოდნისა და სწავლების საკითხი. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების მხრივ საკმაოდ რთული სიტუაციაა. პროგრამა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობასა და ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას ისახავს მიზნად. 2009-2012 წლებში კონკურსში მონაწილეობა მიიღო 1000-მდე პირმა, მათგან ტესტირება და გასაუბრება წარმატებით მხოლოდ 86-მა ტრენერ-მასწავლებელმა გაიარა. ამჟამად დასაქმებულია 75 პედაგოგი. ახლადარჩეული ტრენერ-მასწავლებლები გადიან ტრენინგებს საკითხებზე: „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა“ (50 სთ), „ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა“ (5 სთ) და აზერბაიჯანული ან სომხური ენის შემსწავლელ სწრაფ კურსს (50 სთ). მხოლოდ ამის შემდეგ პედაგოგები ნაწილდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში. ამ სოფლებში მოსახლეობის თითქმის 100% სომეხი ან აზერბაიჯანელია. მათი უმეტესობა არ ფლობს ქართულ ენას და დიდი ნაწილი - არც რუსულს. აქედან გამომდინარე, მივლინებულ მასწავლებელს ელემენტარულ დონეზე მაინც მოეთხოვება

ადგილობრივად გამოყენებადი ენის ცოდნა, რათა დაამყაროს თემთან ურთიერთობა, ჩართოს ღონისძიებებში მშობლები და სხვა მასწავლებლები. ამ პროგრამის ფარგლებში დაქირავებული მასწავლებლები, საათობრივი ანაზღაურების გარდა, სახელმწიფო პროგრამიდან იღებენ ხელფასს 1000 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანი არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებაა, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - ქართული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესება, ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. პროგრამა "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" ხორციელდება ახალქალაქში, ნინოწმინდაში, წალკაში, ბოლნისში, დმანისში, გარდაბანში, მარნეულსა და საგარეჯოში. 2012 წელს პროგრამის ფარგლებში ორჯერ (აპრილ-მაისი, ნოემბერ-დეკემბერი) ჩატარდა მონიტორინგი. მონიტორინგის სპეციალისტებმა შეასრულეს სავლე სამუშაოები და მასწავლებლეთა საქმიანობის შეფასების მიზნით გამოკითხეს სკოლის დირექტორები და მოსწავლეები პროგრამის მონიტორინგის ჩარჩოთი განსაზღვრული შეფასებების შემცველი სპეციალური კითხვარების და დაკვირვების ფორმების გამოყენებით. შეფასებები დაესწრნენ ყველა ტრენერ-მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს/ტრენინგს. პროგრამაში ჩართული მასწავლებლები გაკვეთილებს უტარებენ 4106 მოსწავლეს.

ქართული ენის მასწავლებლების კონკურსი

2012 წელს კვლავ გამოცხადდა კონკურსი ქართული ენის მასწავლებლების ახალი კადრების შესარჩევად. პროგრამას დაემატა 12 ტრენერ-მასწავლებელი. 2011-2012 წლებში შეირჩნენ მხოლოდ სერტიფიცირებული მასწავლებლები, რომლებიც მივლინებულები იყვნენ სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში.

პროგრამის მონაწილე მასწავლებლები სკოლებში ქართული ენის სწავლების პარალელურად ატარებენ ტრენინგებს მასწავლებლებისთვის, ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა ღონისძიებებს (სახალწლო, საზაფხულო, სამემოდგომო დღესასწაულებს, პოეტებისა და მწერლებისადმი მიძღვნილ დღეებს, რელიგიურ-ეროვნულ დღესასწაულებს, გამოფენებს, კონკურსებს, სპექტაკლებს და ა.შ.), რომელთა მიზანია თემში ქართული ენის შესწავლის მოტივაციის გაღვივება, სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობის გაზრდა, შესაბამისად, არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. ახალი პედაგოგის ჩასვლის შემდეგ სოფლებში ენის შემსწავლელთა ჯგუფი - „ქართული ენის კლუბი“ ყალიბდება. კლუბში ერთიანდებიან აბიტურიენტები, მასწავლებლები, მშობლები და თემის სხვა წარმომადგენლები. ზოგიერთ სოფელში მსურველთა რაოდენობა რამდენიმე ჯგუფის დაკომპლექტების აუცილებლობას ქმნის. პროგრამაში ჩართული მასწავლებლის მოვალეობაა, ასევე, ადგილობრივი ქართული ენის მასწავლებლების მომზადება/ტრენინგი და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. კლუბების მოსაწყობად და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარსამართად მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროგრამაში ჩართულ სკოლებს გადასცა საჭირო ინვენტარი, აუდიო-ვიდეო აპარატურა, სასწავლო-ვიზუალური მასალა და საკანცელარიო ნივთები, თვალსაჩინოებების კომპლექტები. ქართული ენის კლუბში ჩართულია: 1997 მოსწავლე, 715 მასწავლებელი, 566 თემის წარმომადგენელი.

გაცვლითი და დამეგობრების პროექტები

2011-2012 წლებში პროგრამის "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა გაცვლითი პროგრამები. სომხური და აზერბაიჯანული სკოლები დამეგობრდნენ სხვადასხვა რეგიონის ქართულ სკოლებთან. 30-მდე ტრენერ-მასწავლებლებმა მოიძია პარტნიორი სკოლა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (თბილისი, გორი, გარდაბანი, საგარეჯო, ჩაქვი, ზესტაფონი, ხაშური და სხვ.) და მოაწყო გაცვლითი ღონისძიებები, რაც გულისხმობს ერთმანეთთან ვიზიტსა და ცხოვრებას 1 კვირის განმავლობაში, გაკვეთილებზე დასწრებას, საერთო კონცერტი, სპექტაკლი, სხვადასხვა კერძების გაცნობა, ქართული მართლმადიდებლური, სომხური სამოციქულო ეკლესიების, მეჩეთების და სხვა კულტურული ძეგლების დათვალიერება. გაცვლითი პროექტის დასკვნითი შეხვედრა ხშირად ხდება თბილისში, სადაც პროექტის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, მონახულონ მასწავლებლის სახლი, გაეცნონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს და ინფორმაციას პროგრამის "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" შესახებ. დამეგობრების პროექტებში ხშირად ხვდებიან სამივე (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) ეროვნების მოსწავლეები და მასწავლებლები, რაც ინტერკულტურული ურთიერთობის წამახალისებელია.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარება სომხურ, აზერბაიჯანულ ან რუსულ ენაზე

2011-2012 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადები ჩატარდა საქართველოში არსებულ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის არაქართულენოვან სკოლებში. აღნიშნულ სკოლებში ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ჩატარდა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული ენის ოლიმპიადაშიც. მესამე ტურის საფუძველზე გამოვლინდნენ გამარჯვებული მოსწავლეები - მათ შორის, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები.

სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე

2012 წელს სკოლის გამოსაშვები გამოცდები ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით 1470 ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის, არაქართულენოვან სკოლებში. აღნიშნული გამოცდები ჩატარდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. არაქართულენოვანი სკოლის სექტორის მოსწავლეებს უფლება მიეცათ, ჩაებარებინათ ქართული, როგორც მეორე ენა. აგრეთვე, მათ მიეცათ საშუალება, მშობლიურ ენაზე ჩაებარებინათ ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და მათემატიკა. სკოლის გამოსაშვები გამოცდების საფუძველზე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აიღო 1621-მა სომხურენოვანმა მოსწავლემ, 1675-მა აზერბაიჯანულენოვანმა მოსწავლემ, 1672-მა რუსულენოვანმა მოსწავლემ.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მოსამზადებელ-საინტეგრაციო კურსის დანერგვით

2010-2011 სასწავლო წელს დაიწყო 2009 წლის ნოემბერში უმაღლესი განათლების კანონში შეტანილი იმ ცვლილების პრაქტიკული განხორციელება, რომელიც ეროვნული უმცირესობების აბიტურიენტებისათვის სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასაბარებლად კვოტირების სისტემის შემოღებას ითვალისწინებს. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები ვალდებული არიან,

მისაღები ადგილების საერთო რაოდენობის 5-5% აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი სტუდენტებისთვის გამოყოფნა. აბიტურიენტები, რომელთაც ერთადერთი გამოცდის - ზოგადი უნარების ტესტის მშობლიურ ენაზე ჩაბარება მოეთხოვებათ, უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის მოსამზადებელ ინტენსიურ კურსზე ირიცხებიან. კანონმდებლობით გარანტირებული საშეღავათო პოლიტიკის თანახმად, ერთი გამოცდის ჩაბარება მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზე ვრცელდება (ქართული ენის მომზადების პროგრამაზე ჩაბარება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, თუ ის ზოგად უნარებს ჩააბარებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე). სხვა აბიტურიენტებმა უმაღლეს სასწავლებლებში 2011 და 2012 წლებში მისაღებ კონკურსზე გამოცდა ოთხ საგანში ჩააბარეს. ენის ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის გავლის და 60 კრედიტის დაგროვების შემდეგ სტუდენტები სწავლას მათ მიერ არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აგრძელებენ (თუ სტუდენტი გრანტს მოიპოვებს ქართული ენის მომზადების პროგრამაზე, ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ის ფინანსდება 2250 ლარით სწავლების დასრულებამდე).

2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა:

- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 390-მა აბიტურიენტმა; ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 200 -მა აბიტურიენტმა.

სახელმწიფო სასწავლო გრანტით 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე დაფინანსდა:

- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 93 აბიტურიენტი; ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 98 აბიტურიენტი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, არაქართულენოვანი სტუდენტების რიცხვი გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. მაგალითად 2010 წელს 247-მა არაქართულენოვანმა სტუდენტმა ჩააბარა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 2011 წელს - 430-მა, ხოლო 2012 წელს - 589-მ.

პროგრამა "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის"

2012 წელს გაგრძელდა "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" პროგრამა "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის", რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას. პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში არსებული არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის დირექცია და ადგილობრივი თემი. პროგრამის ფარგლებში 2012 წელს ღონისძიებები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა:

1. პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის ფლობის დონის გაუმჯობესების მიზნით. სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა“ კონკურსის წესით შეარჩია და გაგზავნა 237 ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომლებიც ეხმარებიან ადგილობრივი არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესის ორ

ენაზე წარმართვასა და ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებაში. ეს ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა და პედაგოგთა ქართული ენის ცოდნის დონის და, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის ქართული ენის ფლობის დონის გაუმჯობესებას მოსახლეობასთან ინტერაქციისა და გაკვეთილების შემდგომი ღონისძიებების განხორციელების გზით.

2. ქართულის, როგორც მეორე ენის, სასწავლო მასალების მომზადება. სახელმწიფო ენის არცოდნის ან არასარულყოფილად ფლობის პრობლემებიდან გამომდინარე, პროგრამის "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" ფარგლებში შეიქმნა ქართული ენის ფლობის დონეების მიხედვით გაწერილი, საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები. თავისთავად, დონეების სისტემა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ამა თუ იმ კლასში შეიტანოს კომუნიკაციურ მეთოდზე დაფუძნებული იმ დონის სახელმძღვანელო, რომელიც იმ კონკრეტული კლასის მოსწავლეთა ენობრივ მოთხოვნებს შეესაბამება.

2012 წელს შეიქმნა და გამოიცა სახელმძღვანელოს V-VI დონე დაწყებითი საფეხურისათვის. 2012 წლის ბოლოს დასრულდა მუშაობა სახელმძღვანელოს VII-IX დონეებზე საბაზო საფეხურისათვის.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სახელმძღვანელო აიგო თანამედროვე პედაგოგიკის პრინციპებზე, რომლის ქვაკუთხედიცაა ენის კომუნიკაციური სწავლება. კომუნიკაციურ-ინტერაქტიული მეთოდი მნიშვნელოვნად განსხვავდება ენის სწავლების ტრადიციული და გრამატიკულ-მთარგმნელობითი მიდგომებისაგან. ასევე, მომზადდა მასწავლებლის სახელმძღვანელო. აღსანიშნავია, რომ მომზადდა თემატური აუდიომასალა კლასში სამუშაოდ. თითოეული დონის სახელმძღვანელო დაიბეჭდა 20 000-იანი ტირაჟით და დარიგდა არაქართულენოვან სკოლებში მათ მიერ გამოგზავნილი მოთხოვნების შესაბამისად.

დამხმარე სასწავლო მასალების სახით შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული თამაშები, რომლებიც განკუთვნილია არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის და შეესაბამება „ქართულის, როგორც მეორე ენის ახალი სახელმძღვანელოს“ თემატიკას.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ივნისში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ ჩატარდა ეროვნული შეფასება „ქართული ენის სწავლება არაქართულენოვანი სკოლების პირველ კლასში“. შეფასებაში ჩართული იყო 73 სკოლა (7 თბილისიდან, 4 კახეთიდან, 38 ქვემო ქართლიდან და 24 სამცხე-ჯავახეთიდან) და 1065 პირველკლასელი (102 თბილისიდან, 58 კახეთიდან, 555 ქვემო ქართლიდან და 350 სამცხე-ჯავახეთიდან), რაც ნიშნავს, რომ საერთო რაოდენობის 20%-მა გაიარა ტესტირება (სულ საქართველოს მასშტაბით არაქართულენოვან სკოლებში 5200 პირველკლასელია). გამოკითხული მოსწავლეების 85,5%-მა აჩვენა სახელმწიფო ენის ფლობის მაღალი დონე, 12,1%-მა - დამაკმაყოფილებელი, ხოლო 1,5%-მა - დაბალი. ეროვნული შეფასების დადებითმა შედეგებმა დაადასტურა, რომ არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების მიერ ქართული ენის ფლობის დონე გაუმჯობესდა.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთათვის მუდმივი პროფესიული ზრდისა და

განვითარებისათვის შესაბამისი როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა და განხორციელება. სკოლა მსურველებს სთავაზობს შემდეგ მოკლევადიან და გრძელვადიან საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პროგრამებს ორ ეტაპად:

მოკლევადიანი კურსების ჩამონათვალი:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვა
- ფინანსური მენეჯმენტი
- პროექტის მართვა და მონიტორინგი
- ადამიანური რესურსების მართვა
- სამართლის საფუძვლები და საქმისწარმოება
- მენეჯმენტის საფუძვლები

გრძელვადიანი კურსების ჩამონათვალი:

ქართული ენის სწავლების კურსი (წელიწადში 3 თვე ეტაპობრივად);
ინგლისური ენის სწავლების კურსი (წელიწადში 3 თვე ეტაპობრივად).

2012 წლის იანვარ-თებერვალში 75 სომხურენოვანი სკოლის დირექტორმა გაიარა ქართული ენის 6-კვირიანი ინტენსიური კურსი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" ფარგლებში, რომელიც ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების გაძლიერებას ითვალისწინებს, 2011 წლის 1 ოქტომბრიდან სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მოქმედი ქართული ენის სახლებს ადმინისტრირებას უწევს ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

III. მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ეროვნული უმცირესობების ინფორმირების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ორი ქართულენოვანი და ერთი რუსულენოვანი არხის მიერ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთი მედიასაშუალებაა ქვეყანაში, რომელსაც კანონმდებლობით აქვს ვალდებულება, მოამზადოს გადაცემები უმცირესობათა ენებზე. ის უზრუნველყოფს ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებას, მიიღონ ინფორმაცია მათ მშობლიურ ენაზე. სატელევიზიო გადაცემების გარდა მზადდება რადიოგადაცემებიც, რომლებიც ეროვნული უმცირესობების ენებზე მათ პრობლემებს და მათთვის საინტერესო საკითხებს აშუქებს. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება ექცევა ყოველდღიურ მაუწყებლობას აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აფინანსებს სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ბეჭდვით გამოცემებს.

საინფორმაციო გადაცემა „მომბე“ ეროვნული უმცირესობების ენებზე

საინფორმაციო გადაცემა „მომბე“ ტრანსლირდება ეროვნული უმცირესობების ენებზე მაყურებლის ინტერესის გათვალისწინებით და მეტი ეფექტურობისათვის. საქართველოს საზოგადოებრივი

მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ გადაიცემა 2 სხვადასხვა ეთერის მეშვეობით: 1-ლი არხის (დილის საათებში), მე-2 არხის (სადამოს საათებში, განმეორებით დილის საათებში) და ასევე რეგიონული ტელეკომპანიების ეთერით. ამისთვის 2011-2012 წწ. შეძენილი იქნა საუკეთესო საეთერო დრო (ე. წ. „პრაიმ თაიმი“ - 20:00 სთ-დან - 23:00-სთ-მდე) მარნეულის „მარნეული ტვ“-ზე და ბოლნისის „ბოლნელ“-ზე. აღნიშნულ არხებზე შუქდება აზერბაიჯანულენოვანი „მოამბე“. ზუგდიდის „ოდიშ“-ზე გადის აფხაზურენოვანი „მოამბე“, ხოლო ნინოწმინდის ტვ „ფარვანა“-ზე „ახალციხის მე-9 არხზე“ და ახალქალაქის „ATV12“-ზე - სომხურენოვანი „მოამბე“. ეს პროდუქცია რეგიონულ ტელევიზიებს მიეწოდებათ სპეციალური ინტერნეტსერვისის მეშვეობით. ყოველდღე მზადდებოდა საინფორმაციო ბლოკი, რომელიც 8-10 სიუჟეტს მოიცავდა; თითოეული სიუჟეტის ქრონომეტრაჟი საშუალოდ 1 წუთია. ერთ ენაზე გამოშვება საშუალოდ 9-10 წუთს გრძელდება. ადგილობრივ სადგურებს ჰქონდათ განმეორებითი ტრანსლირების საშუალება დილისა და სადამოს საათებში. გარდა ამისა, ეროვნული უმცირესობების რედაქციებს თავად აქვთ შესაძლებლობა, დაამზადონ რეპორტაჟი მათთვის საინტერესო თემებზე, რაც მათ 2012 წელს არაერთხელ განახორციელეს.

ტელეკომპანია „პიკ-ი“

2012 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-3 რუსულენოვანი არხის „პიკ-ის“ მეშვეობით ვრცელდებოდა ეროვნული უმცირესობებისთვის განკუთვნილი ტელეპროდუქცია. ტელეკომპანიამ ხელშეკრულება დადო სამცხე-ჯავახეთის ტელესადგურებთან (ახალქალაქის „ATV 12“ ნინოწმინდის „ფარვანა“, ახალციხის „მე-9 არხი“) მათ სიხშირეზე „პიკ-ის“ სადამოს ეთერის ჩართვასთან დაკავშირებით. „პიკი“ ეთერის რეტრანსლირებაში უხდიდა მათ თანხას. სპეციალურად ეროვნული უმცირესობებისათვის კვირაში 2-ჯერ მზადდებოდა გადაცემა „რეგიონული ამბები“, რომელიც ასახავდა მათთვის საინტერესო თემებს, ადგილობრივ ჟურნალისტებს მიეცათ შესაძლებლობა, ეთანამშრომლათ „პიკ-თან“, მიეწოდებინათ საკუთარი სიუჟეტები. ამის გარდა ნინოწმინდაში, მარნეულში და გორში „პიკ-ს ჰყავდა გადამღები ჯგუფები, რომელთა ტექნიკურ აღჭურვილობას, პროფესიულ ზრდას და ხელფასს ასევე უზრუნველყოფდა საკუთარი ბიუჯეტიდან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ადგილობრივი ტელეკომპანიების მუშაკები იყვნენ. „პიკ-ი“ თავის დილის ეთერით ასევე ავრცელებდა „ნაციონალურ მოამბეს“, რომელსაც მას აწვდიდა 1 არხის ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა.

„პიკ-ის“ დახურვის შემდეგ რეგიონებთან მუშაობა ასეთი ინტერაქტიური კუთხით, სამწუხაროდ, შენედა, შეიქმნა რუსულენოვანი არხის მაუწყებლობის სერიოზული დეფიციტი - „პიკ-ს“ უყურებდა ყველა უმცირესობა და არა მხოლოდ ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები.

რადიომაუწყებლობა

ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა მიმდინარეობს „პირველი რადიოს“ ეთერით. ამჟამად საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოეთერში გადის „მოამბის“ ახალი ამბების კოლაჟის აუდიოვერსია ეროვნული უმცირესობების ენებზე. საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და ოსურ ენებზე კვირაში ერთხელ ემატება რადიოპროგრამა ქურთულ ენაზეც.

თოქ-შოუ "ჩვენი ეზო"

თოქ-შოუ "ჩვენი ეზო"-ს შემოქმედებითმა ჯგუფმა 2012 წელს მოამზადა სულ 50 გადაცემა, რომელთა თემატიკა მრავალფეროვანია. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ეროვნული უმცირესობების პრობლემებზე და მათთვის აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის: განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ქალთა უფლებები, არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში, დევნილთა მდგომარეობა, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. 2012 წელს მომზადდა გეგმა, თუ რა ცვლილებებია შესატანი გადაცემის ფორმატში, რათა მოხდეს ამ პროექტის გადახალისება 2013 წელს.

რადიოგადაცემა „ჩვენი საქართველო“

რადიოგადაცემა “ჩვენი საქართველო” ორიენტირებულია ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებზე, მათთვის რელევანტურ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო პრობლემატიკაზე. გადაცემა ეროვნულ უმცირესობებს საშუალებას აძლევს, მედიასივრცეში მსმენელის წინაშე გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამა თუ იმ მოვლენისა და პრობლემის თაობაზე, გააკეთონ კომენტარები ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ზოგად საკითხებზე. გადაცემის ქრონომეტრაჟი 45 წუთია; პერიოდულობა – კვირაში ერთხელ (ხუთშაბათობით). პროექტს ახორციელებს დემოკრატიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრი ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

2012 წელს ეროვნული უმცირესობების ენებზე საერთო საეთერო პროდუქციის სტატისტიკა:

გადაცემების ფორმატი	დასახელება	ხანგრძლივობა, წთ.	რაოდენობა	ჯამი, სთ.
სატელევიზიო საინფორმაციო	ნაციონალური მოამბე	45	255	191
რადიო საინფორმაციო	ნაციონალური მოამბე	45	255	191
სატელევიზიო თოქ-შოუ	ჩვენი ეზო	45	50	38
რადიო თოქ-შოუ	ჩვენი საქართველო	32	45	24
რადიო საინფორმაციო	ქურთული	30	52	26
სულ წელიწადში, საათი				470

ბეჭდვითი მედია

2012 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „ეროვნული უმცირესობების კულტურის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში ფინანსდებოდა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი „გურჯისტანი“.

სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“

წლის განმავლობაში გამოდის გაზეთ „ვრასტანი“-ს 52 ნომერი (აქედან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით -17 ნომერი); ერთი ნომრის ტირაჟი 3000 ეგზემპლარია. გაზეთები ვრცელდება თბილისსა და ბათუმში, ასევე ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, ასპინძის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბორჯომის მუნიციპალიტეტებში. გაზეთის 70% პოლიტიკური ხასიათისაა, ხოლო 30% მოიცავს ინფორმაციას ეროვნული უმცირესობების კულტურულ-სოციალური ვითარების შესახებ.

აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი „გურჯისტანი“

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ასევე გრძელდება გაზეთ „გურჯისტანი“-ს გამოცემა. წელიწადში გამოდის 52 ნომერი (აქედან, სამინისტროს ხელშეწყობით - 17 ნომერი); ერთი ნომრის ტირაჟი 3000 ეგზემპლარია. გაზეთები ვრცელდება თბილისსა და რუსთავში, ასევე გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, გურჯაანის და სხვა მუნიციპალიტეტებში. გაზეთის 70% აშუქებს დიასპორის საკითხებს, ინფორმაციას ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ-კულტურული ცხოვრების შესახებ.

IV. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფო ენის ცოდნაზე. ამ კუთხით საქართველოს მთავრობა, გარდა საგანმანათლებლო პროგრამებისა, ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველსაყოფად და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გასაუმჯობესებლად. ამ მიმართულებით მიმდინარე წლის განმავლობაში აღსანიშნავია ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მცხოვრებთა აქტიური მონაწილეობა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში.

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები

წინასაარჩევნო საქმიანობა არჩევნების ოფიციალურად დანიშნვამდე ეროვნული უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სამუშაო ჯგუფის შექმნა

2012 წლის მაისში ცესკო-ს თავმჯდომარის ბრძანებით ეროვნული უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების გამართივებისა და ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანს წარმოადგენდა ეროვნული უმცირესობების ამომრჩეველთა ინფორმირება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით. განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის ფუნქციები:

- 2012 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- სამოქმედო გეგმის მონიტორინგი;
- დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების ანალიზი;
- მრგვალი მაგიდების მოწყობა თბილისსა და რეგიონებში;
- 2013-14 წწ. სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სამუშაო ჯგუფში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციები:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP);
საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG);
ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი;
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA);
აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი (UAWG);
დემოკრატი მესხთა კავშირი;
კოალიცია „სამოქალაქო განვითარებისთვის“;
სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი;
საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“;
ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი;
ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“;
უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი;
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი;
რადიო „იმედი“;
აზერბაიჯანულ- ქართული კულტურის ცენტრი „ვარლიგი“;
ს.ს.ი.პ. „საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“.

ეროვნული უმცირესობების საკითხზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა 2012 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირება და საარჩევნო პროცესებში ჩართულობა;
- ქალ ამომრჩეველთა ინფორმირება და საარჩევნო პროცესებში ჩართულობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ეროვნული უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობა და ხელშეწყობა;
- ეროვნული უმცირესობების ენებზე საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა;
- ეროვნული უმცირესობების ამომრჩეველთა ინფორმირება მედიის საშუალებით.

სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა ის საქმიანობები, რომლებიც დასახული მიზნების განხორციელებას შეუწყობდა ხელს. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ დეტალურად გაიწერა შემდეგი აქტივობები:

ახალგაზრდებისთვის:

- სემინარებისა და ტრენინგების გამართვა (საარჩევნო პროცედურების სწავლება);
- კენჭისყრის დღის ინსცენირების მოწყობა;
- ახალგაზრდების მონაწილეობით მოსახლეობის ინფორმირება - ბუკლეტებისა და ფლაერების გავრცელება;
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ახალგაზრდების ვიზიტი.

ქალთა ამომრჩევლებისთვის:

- სემინარების გამართვა ადგილობრივ ქალ ლიდერთან (საარჩევნო პროცედურების შესახებ);
- მათი მონაწილეობით მოსახლეობის ინფორმირება - ბუკლეტების/ფლაერების გავრცელება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ეროვნული უმცირესობების ამომრჩევლებისთვის:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების დადგენა;
- სარეკლამო რგოლების სურდოთარგმანის (ჟესტური ენის) უზრუნველყოფა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ინსტრუქციის შემუშავება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთან კენჭისყრის უბანზე მოპყრობის შესახებ;
- საარჩევნო უბნების ადაპტირება, დროებითი პანდუსების მოწყობა.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება

2012 წლის 7 ივნისს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და სახალხო დამცველის (სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭო-ს) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მხარეები შეთანხმდნენ, ხელი შეუწყონ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს. გარდა ამისა, შემუშავდა საერთო გეგმა, რომელმაც განსაზღვრა თანამშრომლობისა და მოქმედების ის სფეროები, რომლებიც ხელს შეუწყობს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას და გაზრდის საზოგადოების ნდობას საარჩევნო პროცესებისადმი.

სამოქალაქო ინტეგრაცია და უმცირესობების უფლებების დაცვა ხანგრძლივი პროცესია, მემორანდუმი მოიაზრება, როგორც მრავალწლიანი თანამშრომლობის საფუძველი. მხარეთა შორის ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული ერთობლივი საქმიანობა განხორციელდება კონსულტაციების, დისკუსიების, ინფორმაციის გაზიარების, სემინარებისა და კონფერენციების სახით.

ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შეხვედრები

2012 წლის 17 მაისს სამუშაო ჯგუფმა გამართა პირველი შეხვედრა, სადაც განხილული იქნა სამუშაო ჯგუფის ფუნქციები და სამომავლო გეგმები. 2012 წლის 5 ივნისს სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამართეს მორიგი შეხვედრა. შეხვედრაზე განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები და შემუშავდა 2012 წლის სამოქმედო გეგმა. 2012 წლის 4 ივლისის შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

- ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განსახორციელებელი ღონისძიებები;

- ამომრჩეველთა ინფორმირება მედიასაშუალებებით.

გასვლითი შეხვედრები სამუშაო ჯგუფმა გამართა მარნეულში, თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალასა და ახალქალაქში. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებს გააცნეს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ეროვნული უმცირესობების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები.

საარჩევნო პერიოდი არჩევნების ოფიციალურად დანიშვნის შემდეგ

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. 2012 წლის აგვისტოში ცესკო-სთან არსებულმა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა ეროვნული უმცირესობების საარჩევნო პროცესებში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით გამოაცხადა საგრანტო კონკურსი. საგრანტო კონკურსის მიზანი იყო იმ პროექტების გამოვლენა, რომელთა განხორციელება მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს საარჩევნო პროცესისადმი სოციალური განწყობის გაუმჯობესებას და მიმდინარე საარჩევნო წელს ელექტორატის აქტიურობის ზრდას, ამომრჩეველთა მიერ გააზრებული არჩევანის გაკეთებას და ამ მიმართულებით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას/ორგანიზებას. საგრანტო კომისიის მიერ საარჩევნო პროცესში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შეირჩა და დაფინანსდა 10 არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის სამუშაო ჯგუფში მონაწილე შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები:

- სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA);
- საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი;
- კოალიცია სამოქალაქო განვითარებისთვის.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან კოორდინაციით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ დაფინანსდა სამუშაო ჯგუფში შემავალი შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები:

- „მრავალეროვანი საქართველო“;
- ეთნოსთაშორისო თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების განათლებისა და საარჩევნო პროცესებში მათი აქტიურად ჩართვის მიზნით დააფინანსა შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები:

- სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი;
- „დემოკრატ მესხთა კავშირი.“

ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შეხვედრები

2012 წლის 20 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს ცესკო-სთან არსებული სასწავლო ცენტრის მიერ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ეროვნული

უმცირესობების ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირების მიზნით გაცემულ გრანტებზე, ასევე, გასვლითი შეხვედრების ორგანიზებაზე.

2012 წლის 5 სექტემბერს ცესკო-მ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) ერთად ორგანიზება გაუწია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრას. შეხვედრაზე ცესკო-მ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია ეროვნული უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების გამართვებისა და ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობების შესახებ. ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა დიპლომატიურ კორპუსს მიაწოდეს ინფორმაცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობების მიმართულებით დაფინანსებული პროექტების შესახებ. განახორციელდა დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი მარნეულში, ახალციხეში, თელავსა და სოფელ ყარაჯალაში.

ეროვნული უმცირესობების ენებზე ნათარგმნი საარჩევნო დოკუმენტაცია

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განისაზღვრა დასაბეჭდი და სათარგმნი საარჩევნო დოკუმენტაცია.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ითარგმნა შემდეგი საარჩევნო დოკუმენტები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია (ქართულ-სომხურ-რუსულ და ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსულ ენებზე);
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია (ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე);
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სამახსოვრო ინსტრუქცია (ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე);
- ამომრჩეველთა სამახსოვრო/ფლაერი (ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე);
- ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა მონაცემები;
- საუბნო საარჩევნო კომისიაში კედელზე გამოსაკრავი კენჭისყრის შენობისა და პროცედურების ამსახველი პოსტერი (ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე);
- საარჩევნო ბიულეტენები (ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე);
- ამომრჩეველთა ერთიანი სია, საარჩევნო კომისიებისთვის განკუთვნილი ვერსია (სამაგიდო სია) (ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე);
- ბიულეტენის შევსების წესი (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

საარჩევნო დოკუმენტაცია ითარგმნა საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით.

ს.ს.ი.პ. „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) პარტნიორობით პროექტის - „სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტების და პროცესების გაძლიერება“ - ფარგლებში დაიბეჭდა ეროვნული უმცირესობების ენებზე ნათარგმნი დოკუმენტაცია.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირების მიზნით დეპარტამენტის მიერ შემუშავდა ბროშურა თემაზე „ეროვნული უმცირესობების ამომრჩევლებისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა“, რომელიც ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ეროვნული უმცირესობების ამომრჩეველთა ინფორმირება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკვეთით საზოგადოებრივი მაუწყებელი 2012 წლის 15 აგვისტოდან თარგმნიდა და ყოველდღიურად ეთერში განათავსებდა „საარჩევნო სატელევიზიო დაიჯესტს“ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომელთა ქრონომეტრაჟი იყო 6-6 წუთი.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში „ნაციონალური მოამბე“, „საარჩევნო სატელევიზიო დაიჯესტი“ და ცესკო-ს სარეკლამო რგოლები (სურდოთარგმანის თანხლებით) გადიოდა:

- 07:00 სთ - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში - სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- 07:00 სთ - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-3 არხის ეთერში (ПИК) - სომხურ ენაზე;
- 24:00 სთ - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხის ეთერში - სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- 22:00 სთ - მარნეულის ტელეკომპანია „მარნეული TV“-ს ეთერში - აზერბაიჯანულ ენაზე;
- 23:00 სთ - ბოლნისის ტელეკომპანია „ბოლნელი“-ს ეთერში - აზერბაიჯანულ ენაზე;
- 07:00 სთ - ახალციხის ტელეკომპანია „მე-9 არხი“-ს ეთერში - სომხურ ენაზე;
- 07:00 სთ - ახალქალაქის ტელეკომპანიის „ATV 12“-ს ეთერში - სომხურ ენაზე;
- 07:00 სთ - ნინოწმინდის ტელეკომპანია „ფარვანა“-ს ეთერში - სომხურ ენაზე;
- 07:00 სთ - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი რადიოს ეთერში - სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ასევე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში კვალიფიციურ სუბიექტებს შორის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ორჯერ გაიმართა სატელევიზიო დებატები, რომლებიც ითარგმნა და გაშუქდა რეგიონული ტელევიზიების ეთერში. ცესკო-ს ვებგვერდზე განთავსდა ბანერი „ეთნიკური უმცირესობები“, სადაც სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ხელმისაწვდომია შემდეგი სახის ინფორმაცია:


- საარჩევნო დოკუმენტაცია და ცესკო-ს სარეკლამო რგოლები, რომლებიც ითარგმნა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის.

ეროვნული უმცირესობების ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით ცესკო-ს ვებგვერდზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეებისთვის

საკუთარი მონაცემების გადამოწმება ხელმისაწვდომი იყო მათთვის გასაგებ ენებზე (ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული).

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული უბნების რაოდენობა ოლქების მიხედვით (სტატისტიკური მონაცემები)

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ამომრჩევლების გათვალისწინებით 12 საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიქმნა 337 საარჩევნო უბანი.



საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ეროვნული/გენდერული შემადგენლობა

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებში წევრთა რაოდენობამ (საარჩევნო პერიოდი) შეადგინა **964**, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი იყო კომისიის **22** წევრი.


საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ეროვნული/გენდერული შემადგენლობა:

თანამდებობა	ქალი	კაცი
თავმჯდომარე	1	1
მდივანი	1	0
წევრი	8	11
სულ	10	12


საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეული/დანიშნული ეროვნული უმცირესობების წარმომავლობის კომისიის წევრთა რაოდენობა

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიებში ეროვნული უმცირესობების წარმომავლობის კომისიის წევრთა რაოდენობამ სულ შეადგინა **2774** წევრი.

აზერბაიჯანული ეროვნების საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი - სულ 1241




სომეხი ეროვნების საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი - სულ 1533



საუბნო საარჩევნო კომისიებში ეროვნული უმცირესობების წარმომავლობის, კომისიის წევრთა გენდერული შემადგენლობა საარჩევნო ოლქების მიხედვით:

ქალი - კომისიის 757 წევრი;
კაცი - კომისიის 2017 წევრი.



"ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი"-ს განხილვა კავკასიელ სტუდენტებთან

11 ივლისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მცირე საკონფერენციო დარბაზში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა კავკასიელ სტუდენტებთან. დისკუსიის ფორმატში განხილული იქნა "ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის" დოკუმენტი და ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის სავიზო რეჟიმის გამარტივების შედეგები. სტრატეგიის მიზანია ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებს შორის კულტურის, განათლების, მეცნიერების, კომერციის, ვაჭრობის, ადამიანური კავშირების და სხვა ჰუმანიტარულ სფეროებში არსებული კავშირების გამყარება და გაღრმავება, რაც, თავის მხრივ, ისტორიული მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების აღდგენა/განმტკიცების საწინდარია.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, ექსპერტები კავკასიის საკითხებში, ენათმეცნიერები, თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, მაგისტრანტები და ის ჩრდილოეთ კავკასიელი სტუდენტები, რომლებიც საქართველოში იღებენ უმაღლეს განათლებას. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო "ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის" შესახებ ინფორმაციის გაზიარება, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიელ ახალგაზრდებს შორის კავშირების განმტკიცების ხელშეწყობა, რაც გამოიწვია საქართველოს მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის სავიზო რეჟიმის გამარტივებამ.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის და სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომები

1 მარტს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში პირველი მოადგილის თავმჯდომარეობით გაიმართა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომა. "შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილი სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის" შეხვედრის მიზანი იყო 2011 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის დასრულებული ვერსიის განხილვა/დამტკიცება და 2012 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებისა და მიდგომების განსაზღვრა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის და სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის გასვლითი სხდომები ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის ორგანიზებითა და ECMI-ს ფინანსური მხარდაჭერით 2012 წლის 17-20 ივლისს უწყებათაშორისი კომისიის გასვლითი სხდომები ქვემო ქართლის რეგიონში, გარდაბანში და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ნინოწმინდაში გაიმართა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებისა და საქართველოს

საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლები. შეხვედრას დაესწრნენ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები/თანამშრომლები. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის შესახებ ინფორმაციის გაზიარება; ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვა; ადგილზე არსებული პრობლემების უკეთ შესწავლა და შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო უწყებების მეშვეობით მათზე რეაგირება. შეხვედრის ყველა დამსწრეს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გადასცა ქვეყნის კონსტიტუციის ახალი გამოცემა "საქართველოს კონსტიტუცია" კოდიფიცირებული ტექსტით, ნათარგმნი აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე და „მოკლე განმარტებითი ლექსიკონი: 365 ტერმინი სახელმწიფო მმართველობის, სამართლისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში“.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის და სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის გასვლითი სხდომა დაბა გრიგოლეთში

26-29 ივლისს გურიაში, დაბა გრიგოლეთში, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის მორიგი სხდომა და ტრენინგი ჩატარდა. კომისიის გასვლითი სხდომა უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის (ECMI-ის) ფინანსური მხარდაჭერითა და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2012 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაიმართა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლები. ECMI-ის მიერ მოწვეულმა პოლონელმა ექსპერტმა უწყებათაშორისი კომისიის წევრებისათვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე: "უმცირესობების საკითხთა მართვის საუკეთესო ევროპული პრაქტიკა სახელმწიფო მმართველობის დონეზე".

საქართველოს რეინტეგრაციის საკითხებში ახლადდანიშნული სახელმწიფო მინისტრის და მისი მოადგილის შეხვედრა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიასთან

27 დეკემბერს მთავრობის კანცელარიაში შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილი სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართა. კომისია ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ პირველად შეიკრიბა. შეხვედრაში საქართველოს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარაიშვილი და სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი მონაწილეობდნენ. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების მნიშვნელობაზე. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, სახელმწიფომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უნდა შესთავაზოს არა მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლება, არამედ მომავალში ცოდნის გამოყენების პერსპექტივაც. სხდომაზე შემწყნარებლობისა და სამოქალაქო

ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს. საუბარი შეეხო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის, ასევე კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართულებებს. კომისიის წევრებმა სხდომაზე წარადგინეს ინფორმაცია მათი უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის და კონსტიტუციონალიზმის კვლევის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლების შეხვედრა IX-X კლასის მოსწავლეებთან

2012 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის მონაწილეობითა და კონსტიტუციონალიზმის კვლევის რეგიონული ცენტრის ორგანიზებით ქვემო ქართლის რეგიონის გარდაბნის №3 საჯარო სკოლის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ ყარაჯალისა და სოფელ ქესალოს საჯარო სკოლების IX-X კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ საინფორმაციო ხასიათის ღონისძიება - საქართველოს ახალი საყმაწვილო კონსტიტუციის პრეზენტაცია. აღნიშნულ შეხვედრაზე დარიგდა ორენოვანი, აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნილი გამოცემა "საყმაწვილო ილუსტრირებული საქართველოს კონსტიტუცია". ღონისძიების მთავარ მიზანს შეადგენდა ქვემო ქართლის რეგიონის აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეების ცნობიერებისა და სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

ღონისძიება „მესხების დღევანდელიობა“

20 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის ორგანიზებით ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა დისკუსია თემაზე "მესხების დღევანდელიობა", სადაც ექსპერტებმა ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლის წინაშეც დგანან დღეს საქართველოში ჩამოსახლებული მესხები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პროგრამაში. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო საზოგადოებისა და ახალგაზრდა თაობის ინფორმირება მესხებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების შესახებ და ინტერესის გაზრდა ამ საკითხისადმი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათი თემის ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები, მოწვეული ექსპერტები და სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტ-ახალგაზრდები.

საბავშვო კონსტიტუციის ტრენინგი ბათუმში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატისა და კონსტიტუციის კვლევის ცენტრის ორგანიზებით ბათუმში სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონების წარმომადგენლებისათვის საბავშვო კონსტიტუციის ათდღიანი ტრენინგი გაიმართა.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2011 წლის შესრულების ანგარიშის განხილვა და დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ და 2012 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება

საქართველოს მთავრობამ განიხილა და დაამტკიცა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2012 წლის სამოქმედო გეგმა და 2011 წლის შესრულების ანგარიში, რომელიც ითარგმნა ოთხ ენაზე (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული და ინგლისური) და გადაეცა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, ასევე გავრცელდა რეგიონების მუნიციპალიტეტებში, საკრებულოებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ინგლისური ვერსია მიეწოდა საელჩოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში შეხვედრა ეთნიკურად აზერბაიჯანელ სტუდენტებთან

26 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი ეთნიკურად აზერბაიჯანელ სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრა პროექტ "ახალგაზრდების განვითარების აკადემიის" ფარგლებში შედგა, რომელსაც მარნეულის ახალგაზრდული ცენტრი ახორციელებს. მინისტრმა სტუდენტებს აპარატის საქმიანობის ორივე მიმართულებით - კონფლიქტების მოგვარებისა და ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციზე სახელმწიფო მინისტრის ახალ სტრატეგიულ ხედვასა და მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილ აქტივობებზე მიაწოდა ინფორმაცია.

ახალგაზრდული სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა

პროექტი ითვალისწინებდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერას, წახალისებას, მათ ჩართვას სამოქალაქო პროცესებში, მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენას და პრაქტიკულ ტრენინგ-სემინარებს. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვემო ქართლის რეგიონში არსებული ახალგაზრდული აზერბაიჯანული ორგანიზაციების და ახალგაზრდა ინიციატივების განვითარების ხელშეწყობა და ურთიერთთანამშრომლობა ორგანიზაციებს შორის. პროექტის განხორციელების ვადები იყო 2012 წლის 12 მარტი - 15 სექტემბერი. ტრენინგები მიმდინარეობდა ერთი კვირის განმავლობაში და მასში მონაწილეობდა 30 ბენეფიციარი. პროექტი განხორციელდა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყების სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ და ა(ა)იპ „საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაციის“ მხარდაჭერით.

ეთნიკურად აზერბაიჯანელ სტუდენტთა ექსკურსია გორში

ღონისძიება ითვალისწინებდა 2012 წლის 22 აგვისტოს გორში აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისათვის ექსკურსიის ორგანიზებას, სადაც მონაწილეებს საშუალება მიეცათ, დაეთვალიერებინათ გორის ღირშესანიშნავი ადგილები, ექსკურსიის ფარგლებში მათ მოინახულეს ოკუპაციის შედეგად დაზიანებული ტერიტორიები. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა აზერბაიჯანელი სტუდენტებისა და ახალგაზრდების ინფორმირების ზრდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ასევე, მათი მოტივაციის გაზრდა და ჩართულობის გააქტიურება სამოქალაქო პროცესებში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 150-მა ეროვნებით აზერბაიჯანელმა სტუდენტმა.

V. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სხვა მასშტაბური ეკონომიკური პროექტები. ამ მიმართულებით შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების მიერ 2012 წელს განხორციელდა რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მასში მოსახლეობის, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მაქსიმალურად ჩართულობის უზრუნველყოფა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საინვესტიციო პროექტების მონიტორინგი და მათი განხორციელების ხელშეწყობა, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება და მონიტორინგი მის განხორციელებაზე.

რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადდა რეგიონის განვითარების სტრატეგიის შედგენის მეთოდური სახელმძღვანელო, ამ სახელმძღვანელოს მიხედვით ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს ყველა რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი.

რეგიონის განვითარების სტრატეგია (შემდგომში - სტრატეგია) შემუშავდება სახელმწიფო რწმუნებულის -გუბერნატორის უფლებამოსილების საზღვრებში შემაჯავლი თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიის მიხედვით.

სტრატეგია წარმოადგენს პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს, რომელიც ასახავს არსებულ ვითარებასა და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება რეგიონების განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა. სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს კონკრეტული პროექტების სამოქმედო პროგრამის, განხორციელების ვადების, ხარჯების და დაფინანსების წყაროების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრა. სტრატეგიის შემუშავება მიზნად ისახავს ცალკეულ რეგიონში არსებული პოტენციალის განსაზღვრასა და წინადადებების შეთავაზებას შემდეგი შედეგების მისაღწევად:

- რეგიონში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენება;
- ინვესტიციების წახალისება;
- ცალკეულ რეგიონში შექმნილი რთული მდგომარეობის დაძლევა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- გარემოსა და ეკოლოგიური ბალანსის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება.

სტრატეგიის დოკუმენტის მიზანია ინფორმაციის, რესურსებისა და ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევით კონსოლიდაცია და რეგიონებისთვის გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების საქმეში მიმართულების მიცემა. სტრატეგია უნდა მოიცავდეს ყველა იმ ცენტრალურ, რეგიონულ და

ადგილობრივ პრიორიტეტს, რომელიც რეგიონის ტერიტორიაზე არსებობს, ასევე ყველა იმ რესურსს, რომელიც ამ მიმართულებით იქნება გამოყოფილი. შესაბამისად, სტრატეგიულ დოკუმენტს ექნება რეალისტური დაგეგმარების, განხორციელებისა და მონიტორინგის სტრუქტურა.


სტრატეგია მოიცავს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და ბუნებრივი გარემოს განვითარების ამოცანებსა და პრიორიტეტებს. სტრატეგიას მოამზადებენ რეგიონული განვითარების საბჭოები ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ ექსპერტებთან, კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში უმნიშვნელოვანესია მოცემული რეგიონის მოსახლეობის ჩართულობის მაღალი ხარისხის მიღწევა, რათა აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, მათი ხედვები და განვითარების პრიორიტეტები.


საინვესტიციო პროექტები ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის საჭირო საინვესტიციო პროექტების მონიტორინგისა და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობის კუთხით 2012 წელს განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:


ქვემო ქართლის პორტუგელის მოცულობა შეადგენს 132,483,532 ლარს



სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პორტფელის მოცულობა შეადგენს 113,932,355 ლარს



კახეთის რეგიონის პორტფელის მოცულობა შეადგენს 278,962,329 ლარს



სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ძირითადი მიზნებია:


- პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტები, კეთილმოწყობის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და სხვ.);
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერება და ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტა უშუალოდ მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად;
- მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთკავშირის გაძლიერება;
- თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის (შემდგომში – რწმუნებული) უფლებამოსილებათა ეფექტურად განხორციელება.

პროგრამით სოფლისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:


- განსახორციელებელი პროგრამის (პროგრამების) დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე;
- პროგრამის ფარგლებში შესყიდული სამუშაო, საქონელი ან მომსახურება უნდა აუმჯობესებდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალურ, ყოფით, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;
- სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა;
- საერთო ინტერესების გათვალისწინებით დასაშვებია რამდენიმე სოფლისათვის გამოყოფილი თანხის გაერთიანება ამ სოფლების საერთო პრობლემის (მაგალითად, სასმელი ან სარწყავი წყლის სისტემები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სამედიცინო პუნქტი და სხვ.) გადასაწყვეტად;
- კონკრეტულ სოფელთან მიმართებაში თანხის გამოყენების მიზნობრიობა დგინდება მხოლოდ მოსახლეობასთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ;
- ამ მიზნით რწმუნებული ორგანიზებას უწევს სოფლის კრების გამართვას, აწყობს საჯარო განხილვას და კრების მონაწილეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სოფლის კუთვნილი თანხის ოდენობის გათვალისწინებით, ადგენს პროგრამით სოფლისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობას, რაც აისახება სოფლის მოსახლეობის კრების ოქმში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სარეაბილიტაციო საინვესტიციო პროექტები


ქვემო ქართლი



სამცხე-ჯავახეთი



კახეთი



ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011-2015 წწ. ჯანდაცვის სტრატეგიის დოკუმენტი ეფუძნება რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანასწორ ხელმისაწვდომობასა და პაციენტზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობას.

თანასწორი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, მიუხედავად მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, წარმომავლობისა, სტატუსისა და ადმსარებლობისა. შესაბამისად, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებით თანაბარი უფლებებითა და ხელმისაწვდომობით სარგებლობს საქართველოს ყველა მოქალაქე.

პაციენტზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემა ეფუძნება პაციენტის ინფორმირებულობას, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას, უსაფრთხოებას და მომსახურების არარაციონალური მოხმარებისაგან დაცვას.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქეთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება და საკუთარი უფლებების ცოდნის შესაძლებლობა პირდაპირ უკავშირდება სამედიცინო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიებისა თუ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ჯანდაცვითი თუ სოციალური პროგრამები ერთნაირად ფარავს ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეროვნული, სოციალური თუ რელიგიური წარმომავლობისა. თუმცა

სამედიცინო და სოციალური მომსახურების სახელმწიფო გარანტიებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული ინფორმაციულ ბარიერებთან. საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების გარკვეული ნაწილისთვის ასეთად ენობრივი ბარიერი გვევლინება, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთება კომპაქტურად ჩასახლებულ რეგიონებში და უმეტესად შუახნის ან ხანდაზმული მოსახლეობის პრობლემას წარმოადგენს. მოსახლეობის აღნიშნული ნაწილი მოკლებულია შესაძლებლობას, წაიკითხოს ან გაიგოს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია/რეკლამა დაგეგმილი სახელმწიფო პროგრამების შესახებ, დროულად მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, რაც ერთმნიშვნელოვნად უშლის ხელს მოსახლეობას, დროულად ისარგებლოს სერვისებით, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს. ამდენად, სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში დაიგეგმა საინფორმაციო კამპანია კომუნიკაციის სხვადასხვა კომპონენტის გამოყენებით არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის და მათთვის ინფორმაციის მიწოდება მშობლიურ ენაზე.

პროექტი - ეროვნული უმცირესობების ინფორმირება ჯანდაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული სამედიცინო მომსახურების შესახებ

სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობისა და სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით დაიგეგმა საინფორმაციო ბანერის შემუშავება. საქართველოს შრომისა, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ბრძანებით (N01- 216 23.04.2012.) დამტკიცდა აღნიშნული საინფორმაციო ბანერის დიზაინი და ტექსტის შინაარსი. მინისტრის ბრძანებით ბანერის დაბეჭდვა და მისი განთავსება თვალსაჩინო ადგილზე დაევალა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის მქონე ყველა სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც მონაწილეობს სახელმწიფო და მუნიციპალური სადაზღვევო პროგრამების განხორციელებაში. ბრძანების თანახმად, სადაზღვევო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის ბანერზე განთავსდა ინფორმაცია ჯანდაცვის სადაზღვევო პოლისის სერვისების სრული მოცულობის შესახებ:

- ამბულატორიული მომსახურება
- გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება
- სტაციონალური მომსახურება (ჰოსპიტალიზაცია)
- მედიკამენტები
- სერვისების ჩამონათვალი, რომლებიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით
- მედიაციის სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი.

ბანერის ტექსტის შინაარსი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაევალათ ორენოვანი ბანერის განთავსება ბენეფიციარებისთვის თვალსაჩინო ადგილზე. შესაბამისად, აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში - ბანერი ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, ხოლო სომხურენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში - ბანერი ქართულ და სომხურ ენებზე. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებთან, თვითმმართველობასთან და მოსახლეობასთან. მარნეულში, დმანისში, ბოლნისში, წალკაში

ახალქალაქში და ახალციხეში სამედიცინო პერსონალთან გაიმართა შეხვედრები ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორებიცაა:

- „ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებითა და სამედიცინო დაზღვევით სარგებლობის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა“;
- „მოქალაქეთა ინფორმირება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული სამედიცინო სერვისების შესახებ“;
- პაციენტის უფლებების დაცვა - „ინფორმირებული თანხმობა“.

მოსახლებას შესაძლებლობა ჰქონდა, გასაუბრებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, რომლებიც სამედიცინო სერვისებით სარგებლობას ეხება. თავის მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მოესმინათ მოსახლეობისგან სხვადასხვა პრობლემური საკითხი და პასუხები გაეცათ დასმული შეკითხვებისთვის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრებში მონაწილეობდა მინისტრი.

პროექტზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფია: საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ჯანდაცვის დეპარტამენტი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 6 შეხვედრა ეროვნულ უმცირესობებთან, სამედიცინო დაწესებულებათა რაოდენობა, სადაც განთავსდა საინფორმაციო ბანერი, ქვეყნის მასშტაბით 150 ერთეულია. გაიზარდა ეროვნული უმცირესობების ინფორმირებულობის დონე სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების მოცულობის შესახებ, დაზღვევის პოლისით განსაზღვრული სახელმწიფო გარანტიებისა და პოლისით მოსარგებლე პირთა უფლებების თაობაზე. გაიზარდა მოქალაქეთა ჩართულობა და მონაწილეობა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში.

პროექტი - საქართველოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სისტემატური ინფორმირება ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ

საქართველოში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს მოქალაქეთა სისტემატური ინფორმირებას მიმდინარე რეფორმების შესახებ, რასაც, თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის. ამ პროექტის ძირითადი მიზანი იყო მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო დაზღვევის ახალი ეტაპის შესახებ. 2012 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა 6 წლამდე ასაკის ბავშვთა, საპენსიო ასაკის მოქალაქეთა, სტუდენტთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევის პროგრამა. პროექტის ფარგლებში მომზადდა და გაიმართა გასვლითი, საინფორმაციო შეხვედრები არაქართულენოვანი მოქალაქეებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, რომლებშიც მონაწილეობდნენ მინისტრი, მინისტრის მოადგილე, სამინისტროსა და რეგიონული წარმომადგენლები.

სულ გაიმართა 9 შეხვედრა.

2 შეხვედრა - ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობასთან

1 შეხვედრა - ქვემო ქართლის რეგიონული ტელევიზიების წარმომადგენლებთან

2 შეხვედრა - სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვან მოსახლეობასთან

1 შეხვედრა - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების წარმომადგენლებთან

2 შეხვედრა - კახეთის აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობასთან

1 შეხვედრა - რეგიონული ტელევიზიების წარმომადგენლებთან.

შეხვედრების ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალური სააგენტოს რეგიონული ფილიალების წარმომადგენლები და სოციალური მუშაკები.

შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებისთვის გაკეთდა პრეზენტაციები და ისინი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა:

- რა არის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის არსი?
- ვის ემსახურება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა?
- ბენეფიციარები, რომლებიც ისარგებლებენ სახელმწიფო დაზღვევით 2012 წლის 1 სექტემბრიდან
- სამედიცინო დაზღვევის პოლისის გაცემის წესი;
- როგორ შეგიძლიათ ისარგებლოთ ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის პოლისით?
- რა სახის სამედიცინო მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა?
- მედიის როლი მოსახლეობის ინფორმირების საკითხებში.

ყველა შეხვედრაზე პრეზენტაციების შემდგომ გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც მოწვეულმა სტუმრებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებიც ხვდებათ ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში.

შეკითხვების ძირითადი ნაწილი ეხებოდა:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ ექსპერტიზას;
- ამბულატორიულ დონეზე ყველა სახის სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემას;
- ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის ხარჯებს

მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო პასუხები მათ მიერ დასმულ ყველა საჭირობო კითხვაზე. პროექტი განხორციელდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, პროექტზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფია მინისტრის აპარატი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. პროექტი მიმდინარეობდა 8 თვის განმავლობაში ქვემო ქართლის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა 9 გასვლითი, საინფორმაციო შეხვედრა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. განხორციელებული აქტივობების შედეგად ეროვნული უმცირესობები უკეთ არიან ინფორმირებულნი სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ. გაზრდილია ეროვნული უმცირესობების მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში და მათი ჩართულობა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მოგვარების საკითხებში.

სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის ორგანიზებითა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის მონაწილეობით რეგიონების მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. სამედიცინო პროგრამების პრეზენტაცია მოხდა 3 რეგიონში (კახეთი - თელავის რაიონის სოფელი ყარაჯალა, სამცხე-ჯავახეთის ქალაქი ახალქალაქი, ქვემო ქართლი - გარდაბანი). პროგრამის დეტალები მოსახლეობას სკრინინგ ცენტრის სპეციალისტმა გააცნო. აღნიშნულ პროგრამაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიზნით დარიგდა საინფორმაციო მასალა.

პანკისის ხეობის ქისტ მოსახლეობასთან შეხვედრა და მათი პრობლემების გაცნობა

14-22 ივნისს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს თანამშრომელი სამოქმედო გეგმის ფარგლებში მივლინებით იმყოფებოდა პანკისის ხეობაში. შეხვდა ადგილობრივ ქისტ და ოს მოსახლეობას, შეისწავლა არსებული პრობლემები.

VI. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის და მათი კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერის მიზნით 2012 წელი გამოირჩევა მთელი რიგი საინტერესო პროექტებით. ნიშანდობლივია ეროვნული უმცირესობების კულტურის მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული პროექტები როგორც პროგრამა „ეროვნული უმცირესობების კულტურის მხარდაჭერის“, ისე პროგრამა „წიგნისა და ლიტერატურის“ ფარგლებში. ამ უკანასკნელის ხელშეწყობით გამოიცა რამდენიმე თარგმანი, განხორციელდა სხვა ტიპის ღონისძიებები, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურის პოლიტიკა, მიმართულია ეროვნულ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერისადმი, მხოლოდ ერთი პროგრამით არ განისაზღვრება.

ჩერქეზული კულტურის ცენტრის მხარდაჭერა

2012 წლის 15 თებერვალს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფუძნდა ს.ს.ი.პ. „ჩერქეზული კულტურის ცენტრი“, რომელიც ჩერქეზული კულტურის ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას ემსახურება. ცენტრს ხელი შეეწყო მეორე კვარტლის ღონისძიებების განხორციელებაში.

გობელენების შემსწავლელი წრეების გახსნა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით მირზა ფათალი ახუნდოვის სახ. აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმთან შეიქმნა აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩებისა და გობელენების შემსწავლელი წრეები. გაიმართა ნამუშევრების გამოფენა. მნიშვნელოვანია პროექტის ფარგლებში ხალიჩების ქსოვის ტექნოლოგიის შესწავლა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად

დასახლებულ რეგიონებში, სადაც ბავშვები ეუფლებიან ამ ტრადიციებს. პროექტის ფარგლებში მოსწავლეების მიერ მოიქსოვა შვიდი გობელენი აზერბაიჯანული ხალიჩების ორნამენტების მიხედვით. მოსწავლეებისათვის მოეწყო ექსკურსია მარნეულის რაიონის სოფ. ქეშალოში ხალიჩის ქსოვის ტექნოლოგიის ადგილზე გაცნობის მიზნით. პროექტში მონაწილე ხუთი მოსწავლე ადგილზე გაეცნო ძაფის დართვისა და ძაფის შეღებვის პროცესს.

პროექტის პედაგოგის რეკომენდაციით მოსწავლეებმა შეარჩიეს უძველესი (ტრადიციული) ორნამენტები ესკიზების დასამზადებლად. დამზადდა 10 ძირითადი ესკიზი. დამატებით დამზადებულია სხვადასხვა შედარებით მარტივი ორნამენტების 5 ესკიზი.

ბიბლიოთეკების მხარდაჭერა

მარნეულის, ახალქალაქის, წალკისა და ნინოწმინდის ბიბლიოთეკებს გადაეცათ კომპიუტერის 4 კომპლექტი. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა მათ საერთო კომუნიკაციას, საერთო ინფორმაციულ სივრცეში ინტეგრირებას, მუშაობის ტემპის გაზრდას მეტად შეუწყობს ხელს.

ს.ს.ი.პ. ჰეიდარ ალიევის სახ. თბილისის აზერბაიჯანული თეატრის მხარდაჭერა

ს.ს.ი.პ. ჰეიდარ ალიევის სახ. თბილისის აზერბაიჯანულ თეატრს სპექტაკლისათვის „ლენქორანის ვეზირის თავგადასავალი“ ფინანსური დახმარება გაეწია. სპექტაკლი მიემდგნა აზერბაიჯანული დრამატურგიის ფუძემდებლის, მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადებიდან 200 წლისთავს, ამასთანავე სპექტაკლი მრავალი ათული წელია, არ დადგმულა თეატრის სცენაზე.

ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“-ს აზერბაიჯანულენოვანი გამოცემა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ აზერბაიჯანულ ენაზე ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“-ს გამოცემა დააფინანსა, რომელიც ოქტაი ქაზუმოვმა თარგმნა. წიგნი ხელს შეუწყობს ქართული კლასიკური მწერლობის პოპულარიზაციას აზერბაიჯანულ ენაზე, აზერბაიჯანელი ხალხის ინტერესის გაღრმავებას ქართული მწერლობის მიმართ.

აშულური პოეზიის საღამოების მხარდაჭერა

2012 წელს 2-ჯერ შედგა აშულური პოეზიის საღამო და სამინისტრომ ორგანიზატორებს უსასყიდლოდ დაუთმო მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის დარბაზი. ამგვარი ღონისძიებების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანია, რამდენადაც ხელს უწყობს ტრადიციების შენარჩუნება-გაღრმავებას, ქართული საზოგადოების მეტად ინფორმირებულობას ტრადიციების შესახებ.

საიათნოვას საღამო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით საიათნოვას საღამო გაიმართა. დაფინანსდა მასში მონაწილე ანსამბლ „ქსოვრელები“-ს ჰონორარი. საიათნოვას, სახალხო პოეტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი საღამო სახალხო დღესასწაულის ტოლფასია.

სომეხი მხატვრების ალბომის გამოცემა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსდა საქართველოში მოღვაწე სომეხ მხატვართა ალბომის გამოცემა. ალბომმა თავი მოუყარა საქართველოში მოღვაწე 22 სომეხი მხატვრის ნამუშევარს, რომელმაც საქართველოში მოღვაწე სომეხი მხატვრების შემოქმედების სრული სურათი წარმოაჩინა.

სომხური ლიტერატურის ანთოლოგია ქართულ ენაზე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოიცა სომხური ლიტერატურის ანთოლოგია ქართულ ენაზე, რომელიც თავს უყრის სომხური მწერლობის სრულ სურათს კლასიკური ხანიდან დღემდე.

საიტ www.cau.lib.ge-ზე ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლების ნაწარმოებების პოპულარიზაცია

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით ხელი შეეწყო მოსამზადებელ სამუშაოებს საიტზე cau.lib.ge-ზე ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლების ნაწარმოებების პოპულარიზაციას. პროექტის ფარგლებში დასაქმდა 6-8 ადამიანი. საიტი კავკასიური ლიტერატურის სისტემატიზაციას, ერთიან ფორმატში მოყვანას, სრული ინფორმაციული სურათის შექმნას შეუწყობს ხელს.

მულტიენიკური ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“

ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“

გაიმართა ფესტივალი „ერთი ღია ცის ქვეშ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა (15 სკოლის 175 მოსწავლე). ღონისძიება ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში აპარატის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება და ხელს უწყობს კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებას, ტრადიციების ურთიერთგაცნობას, ცოდნის გაზიარებას და კონტაქტების გაღრმავებას. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით 11 პედაგოგს (ეროვნული უმცირესობების ა მომადგენლებს) მიენიჭა დამსახურებული პედაგოგის წოდება და გადაეცა ერთჯერადი პრემია 300 ლარის ოდენობით, ხოლო ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცა მედიაფლეერები და სიგელები.

თბილისის მრავალეთნიკური ფესტივალი

ფესტივალი გაიმართა თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების მონაწილეობით, სადაც წარმოდგენილი იქნა ეროვნული ჯგუფების ფოლკლორი, ეთნოგრაფია, წეს-ჩვეულებები, რეწვის ნიმუშები და სხვ. 2-დღიანი ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ნაციონალური კერძების დეგუსტაცია, რეცეპტების გაზიარება, თბილისური კულინარია წარმოჩინდა, როგორც სხვადასხვა ნაციონალური სამზარეულოების შეზავების შედეგი. პროექტის მიზანს წარმოადგენდა თბილისში მცხოვრები ქართველი და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოება, მათ შორის ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, თანამშრომლობითი გარემოს შექმნა, კულტურული და ეთნოგრაფიული თავისებურებების გაცნობა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება. ფესტივალი მიმდინარეობდა 2012 წლის 20 აპრილიდან 9 ივნისამდე. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 150-მა ბენეფიციარმა.

ილია ჭავჭავაძის სახ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის სახ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აქტიურად არის ჩართული ეროვნული უმცირესობების კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებების მხარდაჭერის საქმიანობაში. ეროვნული უმცირესობების ორგანიზაციებს და ინდივიდუალურ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ, გამოიყენონ როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზები, ისე ფონდებში დაცული მასალები. 2012 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეროვნულმა ბიბლიოთეკამ თხუთმეტამდე სხვადასხვა ტიპის ღონისძიებას უმასპინძლა, ესენია:

- ჩერქეზული ენისა და კულტურის დღე თბილისში;
- სომხური ბექდური წიგნის 500 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა;
- ჩერქეზული დროშის დღე ეროვნულ ბიბლიოთეკაში;
- ქართულ-ჩეჩნური ჟურნალისტური ფორუმი;
- ღონისძიება "ბოშები საქართველოში"; ტოლერანტონის კუთხის გახსნა;
- პროფესორ ტატანა დუდენკოს დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო;
- სომეხ მხატვარ გაიანე ხაჩატურიანის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო "მეგობრები ვიხსენებთ";
- ოსი პოეტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი ბესთაუთის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო;
- ქართულ-თურქული ურთიერთობების ამსახველი გამოფენა-კონფერენცია;
- ჩერქეზული გამოფენა;
- სომეხ ფოტოგრაფ ხაჩატურ ვართანიანცის ფოტოგამოფენა;
- სომეხ ფოტოგრაფ ხაჩატურ ვართანიანცის ფოტოგამოფენის ექსპონატთა ელექტრონული ვერსიების განთავსება ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ფოტოკოლექციაში;
- საქართველოს ბელარუსთა სათვისტომოს საერთაშორისო კავშირ "სიაბრის" წევრ ელინა ურუმოვას შემოქმედებითი პოეტურ-მუსიკალური საღამო;
- "ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხურ-რუსული სიხშირული ლექსიკონის" ელექტრონული ვერსიის პრეზენტაცია;
- ხანუქის ებრაული დღესასწაული ეროვნულ ბიბლიოთეკაში.